

# 1. პრეისტორიული ეპოქა

## 1.1 ქვის ხანა საქართველოში

პრეისტორიული ხანა ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. ის გრძელდებოდა დაახლოებით 2-2,5 მლნ. წელი. ეპოქას, როცა ადამიანი პრიმიტიულად დამზადებული ქვის, ხის ან ძვლის იარაღით სარგებლობდა ძველი ქვის ხანა, ანუ პალეოლითი ეწოდება. მეცნიერები პალეოლითს სამ ნაწილად (ქვედა, შუა და გვიანი) ყოფენ და ის მთავრდება ძვ. წ-ის X ათასწლეულში.

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან არის აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი. ყველაზე ძველია დმანისში ნაპოვნი ნაშთები, რომლებიც 1,7-1,8 მლნ. წლით თარიღდება.

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული იყო თითქმის ყველა ლანდშაფტურ-კლიმატური ზონა შავი ზღვის სანაპიროდან (იაშთხვა) კავკასიონის მთიანეთამდე (წონა, ზღვის დონიდან 2100 მ). ქვედა და შუა პალეოლითის სადგომები აღმოჩენილია: რუხთან, კაცხში, ლაშებალთაში, კუდაროს მღვიმეში, ჭიქიანის მთაზე და სხვ.

პალეოლითის ხანის ადამიანი უმარტივესი იარაღებით იყო აღჭურვილი და მას არც თავის დაცვა და არც საკვების მოპოვება არ შეეძლო. ამიტომ ისინი ჯგუფურად (20-30 კაცი) ცხოვრობდნენ. ერთად დაეხეტებოდნენ ტყე-ღრეში, ერთად იცავდნენ თავს და მოიპოვებდნენ საკვებს. ამ პერიოდში ადამიანმა ისწავლა ბუნებრივად გაჩენილი ცეცხლის გამოყენება.

ზედა პალეოლითში გაუმჯობესდა იარაღები. ისინი მზადდებოდა კაჟისა და ოფსიდიანისგან. ასევე ძვლისა და რქისაგან.

ზედა პალეოლითის ხანაში იწყება აციება და მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსვლა. მათ თავი ძირითადად მღვიმეებსა და გამოქვაბულებს შეაფარეს. თუმცა, ამ ადგილების დაკავება ძალით უხდებოდათ, რადგან იქ გარეული ცხოველები ბინადრობდნენ. ასეთი მღვიმეებია: დევის ხვრელი, საკაჟიას მღვიმე, საგვარჯილეს მღვიმე, სამერცხლე კლდე და სხვ.

ცვლილებები მოხდა ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ერთ ადგილას დიდხანს ცხოვრებამ ხელი შეუწყო ადამიანთა მყარი ჯგუფების შექმნას, რომლებიც სისხლით ენათესავებოდნენ ერთმანეთს და ეს ნათესაობა დედის ხაზით გადადიოდა. ქალს შეგროვებით მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკავა. ერთ ნათესაობაში გაერთიანებული ჯგუფი, ანუ გვარი, დიდ პატივს სცემდა დედამთავარს. ასეთ გვარებს, სადაც წამყვანი როლი ქალს ეკუთვნოდა მატრიარქალური, ანუ დედამთავრული გვარი ეწოდება, ხოლო ეპოქას მატრიარქალური ეპოქა.

ზედა პალეოლითის დროს წარმოიქმნა ტომები. გამრავლებული გვარები ახალ გვარებად იყოფოდნენ, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ. ასეთი მონათესავე გვარები ქმნიდნენ თემს. საქართველოში თემი ერთ ხევში იყო განსახლებული. რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება კი ტომს ქმნიდა. მათი ზნე-ჩვეულებანი, რელიგია და ენა ძირითადად ერთნაირი იყო.

მარტივი იყო პირველყოფილი რელიგია. ადამიანები თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა საგნებს, ბუნებრივ მოვლენებს (ელვა, ჭექა-ქუხილი), ბოროტ და კეთილ სულებს, ცხოველებს, ფრინველებს და სხვ.

პალეოლითის მოსდევს მეზოლითი, ანუ შუა ქვის ხანა (ძვ. წ-ის X-IX ათასწლეული), ამ პერიოდში თანდათან ყალიბდება თანამედროვე კლიმატური პირობები, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი უკავია გეომეტრიული მოყვანილობის ქვის მცირე ნაკეთობებს.

ნეოლითის ეპოქაში (ახალი ქვის ხანა – ძვ. წ-ის VIII-VII ათასწლეული) გარდატეხა მოხდა ქვის დამუშავების ტექნოლოგიაში. ადამიანმა ისწავლა ქვის გაპრიალება და გახვრეტა. ასეთი იარაღი უფრო მოსახერხებელი იყო სანადიროდ და სამუშაოდ. დიდი ძვრები მოხდა მეურნეობაშიც. თუ აქამდე ადამიანი შემგროვებელი და

მონადირე იყო, ნეოლითში მან საფუძველი ჩაუყარა მიწათმოქმედებას (ხორბლის უძველესი ჯიშები: მახა და ზანდური), მესაქონლეობას და გახდა მწარმოებელი. ამ მნიშვნელოვან მოვლენას “ნეოლითურ რევოლუციას” უწოდებენ. ახალი ქვის ხანაში ჩნდება ხელოსნობაც: მეთუნეობა რთვა და ქსოვა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითური ნამოსახლარებია: თეთრამიწა, კისტრიკი, ანასეული, ხუცუბანი, გურიანთა, ზემო ალვანი და სხვ.

ნეოლითს მოსდევს ენეოლითი (ძვ. წ-ის VI-IV ათასწლეული). ადამიანმა შემთხვევით მიაგნო თვითნაბად სპილენძს. ქვისგან განსხვავებით მისი გამოჭედევა შესაძლებელი იყო. ლითონის ათვისების ადრეულ ეტაპზე ძირითადი სამეურნეო იარაღი კვლავ ქვისგან მზადდებოდა. ქვის დამუშავების ტექნიკა უმაღლეს საფეხურზე იყო ასული და მისი ერთბაშად ჩანაცვლება მეურნეობაში ვერ მოხდებოდა. ამიტომ ამ ახალ ხანას სპილენძ-ქვის ხანა, ანუ ენეოლითი ეწოდა. ენეოლითური ნამოსახლარებია: შულავერის გორა, იმირის გორა, არუხლო და სხვ.

ენეოლითის ხანაში დაწინაურდა მიწათმოქმედება, ზოგან შეინიშნება ხელოვნური მორწყვაც. მიწის დასამუშავებლად იყენებდნენ ირმის რქისაგან დამზადებულ პრიმიტიულ სახნავ იარაღს. ამ სიახლეების შედეგად მეურნეობა უფრო შემოსავლიანი ხდებოდა.

ადამიანი იწყებს საცხოვრებელი სახლების აგებას, რომელიც ალიზით იყო აშენებული და წრიული, ან ოვალური ფორმა ჰქონდა. ამ სახლებში მუდმივად ენთო ცეცხლი თიხის კერიებში. რამდენიმე ათეული ასეთი სახლი ერთ დასახლებას ქმნიდა, რომელიც ბორცვებსა და გორაკებზე იყო განლაგებული. ამ გორაკებს თავდაცვითი თხრილი, ან ყორე ჰქონდა შემოვლებული. გამრავლებული მოსახლეობა საცხოვრებლად მახლობელ გორაკებზე გადადიოდა. რამდენიმე ასეთი დასახლებული გორა დასახლებათა ჯგუფს ქმნიდა, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ ერთეულს წარმოადგენდა. ცენტრად ხშირად ისევ თავდაპირველი გორა რჩებოდა, საიდანაც დაიწყო განსახლება. აქვე იყო მთავარი სალოცავი, სადაც იკრიბებოდნენ თემის უხუცესები სათათბიროდ.

საქონლის მომრავლებამ და ლითონის იარაღის ცალკეული თემის ან გვარის ხელში დაგროვებამ გაახშირა საომარი შეტაკებები. ამ შეჯახებებში ძირითადად მამაკაცები მონაწილეობდნენ. ლითონს ისინი ამუშავებდნენ, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაშიც ისინი იყვნენ ჩაბმულნი. ამიტომ მამაკაცის როლი გვარის ცხოვრებაში გაიზარდა. დედამთავრულმა გვარმა ადგილი დაუთმო მამამთავრულ გვარს, ანუ პატრიარქატს.

## 1.2 ბრინჯაოს ხანა საქართველოში

ძვ. წ-ის III ათასწლეულში ქართველთა წინაპარმა ტომებმა ისწავლეს ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაოს დებულობდნენ ცეცხლზე გამდნარ სპილენძში: კალის, დარიშხანისა და ანთიმონის შერევით. (საუკეთესო შეფარდება 90% სპილენძი და 10% კალა). ამით ლითონი უფრო მაგარი ხდებოდა. გამდნარ სპილენძს ყალიბებში ასხამდნენ და საჭირო ფორმას აძლევდნენ.

ბრინჯაოს ხანა სამ პერიოდად იყოფა: ადრე, შუა და გვიანი.


ადრე ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ-ის III ათასწლეულიდან, საქართველოში ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურა. იგი გავრცელებული იყო, არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ წინა აზიაშიც. ამ პერიოდში განვითარებული იყო: მესაქონლეობა, მეტალურგია და ხელოსნობა. გვარისა და თემის წევრები თანასწორნი იყვნენ. მნიშვნელოვანი საკითხები (ომი, ზავი, ბელადის არჩევა და სხვა) საერთო-სახალხო კრებაზე წყდებოდა. ყველა მამაკაცის ვალდებულებას წარმოადგენდა საბრძოლველად გასვლა.

შეტაკებების გახშირების გამო ხდებოდა სხვადასხვა ტომების გაერთიანება ტომობრივ კავშირებად. თუმცა ეს კავშირები არ იყო ხანგძლივი და მყარი, რადგან

გაერთიანება ძირითადად ხდებოდა ლაშქრობების მიზნით ან თავის დასაცავად და მალევე იშლებოდა.

ძვ. წ-ის III ათასწლეულის ბოლოდან იწყება შუა ბრინჯაოს ხანა, რომელიც დაახლოებით ძვ. წ-ის II ათასწლეულის შუა ხანამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში კიდევ უფრო ვითარდება: მეტალურგია, ხელოსნობა და შემოდის დაკრძალვის ახალი წესი – ჩნდება ყორღანული სამარხები, რომლებშიც ტომთა ბელადებს მარხავდნენ. (ყორღანები პირველად თრიალეთში აღმოაჩინეს და ამიტომ მას “თრიალეთურ კულტურასაც” უწოდებენ).

### კავკასია და მცირე აზია ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში



ყორდანები გრანდიოზულ სიდიდეებს აღწევდა. ზოგის სიმაღლე 10 მეტრიც იყო, ხოლო ფართობი დაახლოებით 1 ჰექტარს შეადგენდა. გარდაცვლილი ბელადის გვამს წვავდნენ, ხის ოთხთვალა ეტლზე ათავსებდნენ და ხის ან ქვის დარბაზულ ნაგებობაში დგამდნენ. მას თან ძვირფას ნივთებს ატანდნენ. ამ ნაგებობას ქვით ან მიწაყრილით ფარავდნენ. თრიალეთის ერთ-ერთ ყორდანში აღმოჩნდა ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს თასი და ასევე ვერცხლის სარწყული, რომელზეც ნადირობის სცენები იყო გამოსახული.

ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანა. (იწყება რკინის მეტალურგიაზე გადასვლა) და გრძელდება ძვ. წ-ის I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ორი კულტურული წრე: დასავლურ ქართული, ანუ კოლხური და აღმოსავლურ ქართული. ამ პერიოდში ბრინჯაოს იარაღის სრულყოფამ გამოიწვია მეურნეობის უფრო მეტად დაწინაურება. გაუმჯობესებული იარაღი ცალკეული ოჯახების საკუთრებაში აღმოჩნდა, ისევე როგორც საცხოვრებელი სახლი და პირუტყვი. მათ დაიწვეს გვაროვნული თემიდან გამოყოფა და ცალკე გასვლა. ზოგი ოჯახი თავის გვარსაც წყდებოდა და სხვა გვარის ტერიტორიაზე გადადიოდა საცხოვრებლად. ასე იშლებოდა გვაროვნული თემი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემური ტრადიციები. მიწის დიდი ნაკვეთები საერთო-თემურ მფლობელობაში იყო დარჩენილი. ახლა თემში ერთი გვარის და ერთმანეთის მონათესავე ოჯახები კი არა, სხვა გვარის ოჯახებიც ერთიანდებოდნენ. ასე თანდათან შეიცვალა გვაროვნული თემი სამეზობლო თემით.

მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია ქონებრივი დიფერენციაცია. ცალკეულ ოჯახებს უფრო მეტი ქონება დაუგროვდათ. ამავე დროს ტომის ბელადები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ამ თანამდებობებზე ცდილობდნენ სამუდამოდ დაუფლებოდნენ ძალუფლებას. მათ მხარს უჭერდა საკუთარი სამხედრო რაზმი. ისინი ცდილობდნენ მიწის საუკეთესო ნაკვეთების დასაკუთრებას. ბრძოლის დროს მოპოვებული ნადავლის დიდი წილიც მათი იყო. ასევე მდიდრდებოდნენ სასულიერო პირები – ქურუმები, რომელთა საკუთრებაც ხდებოდა ამა თუ იმ პირის შეწირული მიწები და სიმდიდრე. ტომის ბელადები ხშირად უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ.

ძლიერი და დაწინაურებული ტომი ძალით იმორჩილებდა სუსტს. დამარცხებულნი იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ გაბატონებული ტომის ბელადს. გადაეხადათ მის სასარგებლოდ გადასახადი და მათ მხარდამხარ ებრძოლათ. ასეთი კავშირები, რომელიც ბატონობა-მორჩილებაზე იყო აგებული უფრო მყარი გახლდათ და ხანგრძლივი.

### მნიშვნელოვანი თარიღები:

- 2 მლნ წლიდან - ძვ.-წ-ის X ათასწლეულამდე – პალეოლითი (ძველი ქვის ხანა);
- 1,7-1,8 მლნ წელი – „დმანისელი ადამიანი“;
- ძვ. წ-ის X-IX ათასწლეული – მეზოლითი (შუა ქვის ხანა);
- ძვ. წ-ის VIII-VII ათასწლეული – ნეოლითი (ახალი ქვის ხანა);
- ძვ. წ-ის VI-IV ათასწლეული – ენეოლითი (სპილენძ-ქვის ხანა);
- ძვ. წ-ის III ათასწლეული – ადრე ბრინჯაოს ხანა (“მტკვარ-არაქსის კულტურა”);
- ძვ. წ-ის III ათასწლეულის ბოლო -ძვ. წ-ის II ათასწლეულის შუა პერიოდი – შუა ბრინჯაოს ხანა (“თრიალეთური კულტურა”);
- ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევრი - ძვ. წ-ის I ათასწლეულის პირველ ნახევარი – გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანა;

**(25) ტესტი – პრეისტორიული ხანა**

**არჩევითბოლოიანი კითხვა:**

**(1) 1. “ღმანისელი ადამიანის” ნაშთები თარიღდება:**

- ა) 2 მლნ. წლით;
- ბ) 1,8-1,7 მლნ. წლით;
- გ) 1,3-1,5 მლნ. წლით;
- დ) 1 მლნ. წლით;

**(1) 2. რამდენ ნაწილად იყოფა ძველი ქვის ხანა?**

- ა) 1;
- ბ) 2;
- გ) 3;
- დ) 4;

**(1) 3. ჩამოთვლილთაგან რომელია ქვედა პალეოლითის ნამოსახლარი?**

- ა) დევის ხვრელი;
- ბ) კისტრიკი;
- გ) სამერცხლე კლდე;
- დ) ლაშეხალთა;

**(1) 4. ჩამოთვლილთაგან რომელია ზედა პალეოლითის ნამოსახლარი?**

- ა) ჭიქიანის მთა;
- ბ) კუდარო;
- გ) საკაჟიას მღვიმე;
- დ) თეთრამიწა;

**(1) 5. რა პერიოდს მოიცავს მეზოლითი?**

- ა) ძვ. წ-ის X-IX ათასწლეულებს;
- ბ) ძვ. წ-ის IX-VII ათასწლეულებს;
- გ) ძვ. წ-ის VI-V ათასწლეულებს;
- დ) ძვ. წ-ის VIII-VI ათასწლეულებს;

**(1) 6. ჩამოთვლილთაგან რომელია ნეოლითური ხანის ნამოსახლარი?**

- ა) ჭიქიანის მთა;
- ბ) იმირის გორა;
- გ) ანასეული;
- დ) არუხლო;

**(1) 7. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა ნეოლითური ხანის ნამოსახლარი?**

- ა) კისტრიკი;
- ბ) ლაშეხალთა;
- გ) გურიანთა;
- დ) ზემო ალვანი;

**(1) 8. რას გულისხმობს ნეოლითური რევოლუცია?**

- ა) ადამიანებმა ისწავლეს კაჟისა და ქვის დამუშავება;
- ბ) ადამიანებმა ისწავლეს ნადირობა;
- გ) ადამიანი გახდა მწარმოებელი;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

**(1) 9. რამ შეცვალა გვაროვნული თემი?**

- ა) სანათესაო თემმა;
- ბ) სამეურნეო თემმა;
- გ) სასოფლო თემმა;
- დ) სამეზობლო თემმა;

**(1) 10. ჩამოთვლილთაგან რომელია არაა ენეოლითური ხანის ნამოსახლარი?**

- ა) შულავერის გორა;
- ბ) იმირის გორა;
- გ) არუხლო;
- დ) ხუცუბანი;

**(1) 11. როდის იცვლება მატრიარქატი პატრიარქატით?**

- ა) ნეოლითში;
- ბ) ენეოლითში;
- გ) ადრე ბრინჯაოს ხანაში;
- დ) შუა ბრინჯაოს ხანაში;

**(1) 12. ენეოლითი ეწოდება ხანას როდესაც:**

- ა) ერთდროულად გამოიყენება ქვისა და სპილენძის იარაღები;
- ბ) როდესაც გამოიყენება მხოლოდ სპილენძის იარაღები;
- გ) როდესაც გამოიყენება ქვისა და ბრინჯაოს იარაღები;
- დ) როდესაც გამოიყენება სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღები;

**(1) 13. რამდენ ნაწილად იყოფა ბრინჯაოს ხანა?**

- ა) ერთი;
- ბ) ორი;
- გ) სამი;
- დ) არც ერთი;

**(1) 14. ბრინჯაოს ხანის რომელ პერიოდს განეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურა?**

- ა) ადრე ბრინჯაოს;
- ბ) შუა ბრინჯაოს;
- გ) გვიან ბრინჯაოს;
- დ) რკინას;

**(1) 15. რომელი ლითონი გამოიყენება ბრინჯაოს მისაღებად?**

- ა) სპილენძი;
- ბ) რკინა;
- გ) ოქრო
- დ) ვერცხლი;

**(1) 16. რას ეწოდება ყორღანები?**

- ა) სამარხებს;
- ბ) საცხოვრისებს გამოქვაბულში;
- გ) საცხოვრებელ ქოხებს;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

**(3) 17. დააღაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისკენ:**

1. ნეოლითი;
2. ენეოლითი;

3. პალეოლითი
4. ბრინჯაოს ხანა;

- ა) 3-1-2-4;                    ბ) 3-2-4-1;                    გ) 2-1-4-3;                    დ) 1-2-3-4;

**(3) 18. ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ ნამოსახლარები უახლესიდან უძველესისკენ:**

1. იმირის გორა;
2. იაშთხვა;
3. თეთრამიწა;
4. სამერცხლე კლდე;

- ა) 2-4-3-1;                    ბ) 3-2-1-4;                    გ) 4-3-2-1;                    დ) 1-3-4-2;

**(3) 19. მრავალწერტილის შევსება.**

ძვ. წ-ის VIII-VII ათასწლეულიდან იწყება (1) . . . . . ხანა. საქართველოში ამ პერიოდის ნამოსახლარები ძირითადად გვხვდება (2) . . . . . საქართველოს ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ადამიანმა მოახერხა გამხდარიყო (3) . . . . .

ა) აღმოსავლეთი;    ბ) მეზოლითი;    გ) დასავლეთი;    დ) მწარმოებელი;    ე) შემქმნელ-შემგროვებელი;    ვ) ნეოლითი;    ხ) ენეოლითი;    თ) სამხრეთი;    ი) მწარმოებელ-შემგროვებელი;

## 2. ძველი აღმოსავლეთი და საქართველო

ქართველ ტომებსა და ტომთა კავშირებს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან. ძვ. წ-ის II ათასწლეულში მათ სამხრეთით ემეზობლებოდნენ: ხეთები, მითანელები, ასურელები, ურარტუელები და სხვ.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძვ. წ-ის II ათასწლეულის ბოლოსთვის, ძველადმოსავლური წყაროები ასახელებენ ქართველ ტომთა დიდ გაერთიანებას, რომელსაც ასურულ წყაროებში დაიაენი, ხოლო ურარტულ წყაროებში დიაოხი ეწოდებოდა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთ ბერძნები ტაოხებს ეძახდნენ. ეს სახელი შემორჩა ძველ ქართულ პროვინცია ტაოს.

დიაოხი ძველადმოსავლური სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. სამხრეთით მის საზღვრებში დღევანდელი ქ. არზრუმის მიდამოებიც შედიოდა, ჩრდილოეთით ჯავახეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მისი გაკლენა შავ ზღვამდე აღწევდა.

დიაოხი აქტიურად იბრძოდა ასურელი მეფეების აგრესიის წინააღმდეგ. ასურეთის მეფე ტიგლეთფილესერ I-მა (ძვ. წ-ის 1115-1077) ძვ. წ-ის 1112 წელს ილაშქრა “ნაირის ქვეყნების” კოალიციის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში დაიაენის მეფე სიენი ედგა. ტიგლეთფილესერმა ეს ალიანსი დაამარცხა, სიენი დაატყვევა, წაიყვანა დედაქალაქ აშურში და მორჩილების პირობის ჩამორთმევის შემდეგ გაათავისუფლა.

ასურეთის სამეფოს დასუსტების შემდეგ დიაოხს დაუპირისპირდა ხურიტული ტომებით დასახლებული ურარტუს სახელმწიფო, რომელიც ძვ. წ-ის IX საუკუნეში შეიქმნა ვანის ტბის მიდამოებში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. მათმა მეფეებმა მენუამ (ძვ. წ-ის 819-786) და არგიშთიმ (ძვ. წ-ის 786-764) რამდენჯერმე ილაშქრეს დიაოხის მეფე უტუფურსის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხდა და დიდი ხარკი იკისრა. თუმცა იგი მაღევე აჯანყდა და არგიშთის მოუწია ახალი ლაშქრობის მოწყობა მის დასამორჩილებლად. ურარტულ წარწერებში ჩანს, რომ დიაოხი მდიდარი და განვითარებული ქვეყანა იყო, რომელსაც მეფე განაგებდა. ურარტუს შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი. მაგრამ მას საბოლოო დარტყმა, მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა, კოლხამ მიაყენა.

კოლხა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანება იყო, რომელიც ძვ. წ-ის XI-VIII საუკუნეებში არსებობდა. მის სათავეში მეფე იდგა, რომელიც ქვეყანას მეფისნაცვლების მეშვეობით მართავდა. კოლხას დაწინაურებულ მდგომარეობას კარგად ასახავს მითი არგონავტების შესახებ (დაახლოებით ძვ. წ-ის XI-VIII სს.). ამ მითის მიხედვით კოლხეთის მეფე იყო მზის ღმერთის შვილი აიეტი, რომელსაც მჭედლობის ღმერთმა, ჰეფესტომ, გამოუჭედა სპილენძისფეხებიანი ცეცხლისმფრქვეველი ხარები. მანვე გაუკეთა ფოლადის გუთანის. მეფესთან ინახებოდა ოქროს საწმისი – ვერძის ოქროსმატყელიანი ტყავი. სწორედ ოქროს საწმისის წასაღებად მოვიდნენ საბერძნეთიდან ცნობილი გმირები, იაზონის მეთაურობით, გემ “არგოთი.” აიეტმა მათ რთული მისია დააკისრა: უნდა შეებათ სპილენძისხლიქებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარები უღელში, ფოლადის სახნისიანი გუთნით მოეხნათ მინდორი, ხნულში დაეთესათ ურჩხულის კბილები და მათგან აღმოცენებული სპილენძისჯავშნიანი მეომრები დაეხოცათ. ბერძნები მხოლოდ ამ მისიის წარმატებით შესრულების შემთხვევაში მიიღებდნენ ოქროს საწმისს. აიეტის ქალიშვილს, გრძნეულ მედეას, შეუყვარდა იაზონი და დაეხმარა მას რთული დავალების შესრულებაში.

ამ მითში ლეგენდარულ ამბებთან ერთად ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კერძოდ, ბერძნებმა თქმულებაში გადმოსცეს კოლხეთის მაღალი მეტალურგიული და სამიწათმოქმედო კულტურა. ასევე ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე.

ძვ. წ-ის II ათასწლეულის ბოლოსთვის საქართველოში უკვე იცნობდნენ რკინას, რომლის დანერგვასა და ათვისებაში დიდი როლი ითამაშეს შავი ზღვის სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებმა ქართველებმა ტომებმა, ხალიბებმა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დიაოხის განადგურების შემდეგ ერთმანეთს გაუშეზობლდნენ ურარტუ და კოლხა. დაიწყო ბრძოლა მათ შორის. ურარტუს მეფე სარდურ II-მ (ძვ. წ-ის 764-735) ორჯერ ილაშქრა კოლხეთში ძვ. წ-ის 750-741 წლებში. დაიპყრო “სამეფო ქალაქი” ილდამუში. ამ ბრძოლებმა დაასუსტა კოლხა.

ძვ. წ-ის VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩრდილო კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დაიწყო მომთაბარე ტომების: სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები და ძვ. წ-ის VIII საუკუნის ბოლოს სწორედ კიმერიელებმა მოუღეს ბოლო კოლხას.

ძვ. წ-ის 590 წელს ურარტუს სამეფო განადგურეს მიდიელებმა. მისი მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა. ისინი თანდათან შეერივნენ იქ მცხოვრებ ქართველურ ტომებს და მათ კულტურასა და მეტყველებაში ბევრი ელემენტი შეიტანეს. მაგალითად, მოსავლიანობის დეოთაების, არაღეს კულტი, რომლის სახელიც შემორჩენილია არაერთ ქართულ სიმღერაში (ოროველა, კალოსირული). ამ სიმღერებში არაღეს ეწოდება: “ივრი არაღე,” “თარი არაღე“, რომლის ურარტული მნიშვნელობებია: “მეუფე არაღე,” “დიდო არაღე.” ასევე დღეს ქართულში დამკვიდრებულია გამოთქმები: ყირამალა, თავდაყირა. “ყირა” ურარტულად მიწას აღნიშნავდა.

ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ მისი ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს სომხურმა ტომებმა, რომლებიც აქამდე ურარტუს დასავლეთ ნაწილში მოსახლეობდნენ. ამ რაიონებში მცხოვრები ურარტუელების დიდი ნაწილი სომხებს შეერია. ამის შემდეგ სამხრეთით ქართველების მეზობლები სომხები გახდნენ.


ძვ. წ-ის VI საუკუნიდან მსოფლიო ასპარეზზე გამოდის აქემენიდური ირანი (ძვ. წ-ის 558-330), რომლის აზიის უდიდეს იმპერიად ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმპერატორების: კიროს II დიდის (ძვ. წ-ის 558-530), კამბიზ II-ის (ძვ. წ-ის 530-522), დარიოს I-ისა (ძვ. წ-ის 522-486) და ქსერქსეს (ძვ. წ-ის 486-465) სახელთან.

სპარსეთის შემადგენლობაში ქართული ტომების ნაწილიც მოექცა. თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები და მაკრონები სპარსეთის XVIII და XIX სატრაპიებში (პროვინციებში) იყვნენ გაერთიანებულნი.

### მნიშვნელოვანი თარიღები

- ძვ. წ-ის XII-VIII საუკუნეები – დიაოხი, ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანება;
- ძვ. წ-ის 1115-1077 წელი – ტიგლეთფილესერ I, ასურეთის მეფე;
- ძვ. წ-ის 1112 წელი - ტიგლეთფილესერ I-ის ლაშქრობა “ნაირის ქვეყნების” წინააღმდეგ.
- ძვ. წ-ის XI-VIII საუკუნეები – კოლხა, ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანება;
- ძვ. წ-ის XI-VIII საუკუნეები – არგონავტები;
- ძვ. წ-ის IX საუკუნე – ძვ.წ-ის 590 წელი – ურარტუ;
- ძვ. წ-ის 819-786 – მენუა, ურარტუს მეფე;
- ძვ. წ-ის 786-764 – არგიშთი, ურარტუს მეფე;
- ძვ. წ-ის 764-735 – სარდურ II, ურარტუს მეფე;
- ძვ. წ-ის 750-741 – სარდურ II-ის ლაშქრობები კოლხაში.
- ძვ. წ-ის VIII საუკუნის მეორე ნახევარი – სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები;
- ძვ. წ-ის 558-330 – აქემენიდური ირანი;
- ძვ. წ-ის 558-530 – კიროს II დიდი, აქემენიდური სპარსეთის იმპერატორი;
- ძვ. წ-ის 530-522 – კამბიზ II, აქემენიდური სპარსეთის იმპერატორი;
- ძვ. წ-ის 522-486 – დარიოს I, აქემენიდური სპარსეთის იმპერატორი;
- ძვ. წ-ის 486-465 – ქსერქსე, აქემენიდური სპარსეთის იმპერატორი;





(25) ტესტი – ძველი აღმოსავლეთი და საქართველო

არჩევითბოლოანი კითხვა

(1) 1. ვინ ეძახდა დიოსს ტაოსს?

ა) ურარტუელები;                      ბ) ბერძნები;                      გ) ფინიკიელები;                      დ) მითანელები;

(1) 2. დიოსს დაიანს ეძახდნენ:

ა) ასურელები;                      ბ) ურარტუელები;                      გ) ხეთები;                      დ) მილეტელი ბერძნები;

(1) 3. ვის წინააღმდეგ ილაშქრა ურარტუს მეფე არგიშთიმ?

ა) სიენის;                      ბ) უტუფურსის;                      გ) სარგონის;                      დ) აფსირტეს;

(1) 4. რითი არიან ცნობილი ხალიბები?

ა) მეტალურგიით;                      ბ) მევენახეობით;                      გ) მეცხენეობით;                      დ) ოქროს მოპოვებით;

